მშრომელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 12 (5113) | შაბათი, 15 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია: (1-ლი და მე-2 გვ.).

საბჭოთა პარლამენტის მუდმივი კომისიები („პრავდის“ მოწვინავე 1-ლი გვ.).

სოციალიზმის ქვეყანა აღფრთოვანებით ეხმაურება საბჭოთა პარლამენტის სესიას (მე-2 გვ.).

უმოკლეს ვადაში გამოვასწოროთ ჩამოტრჩენა თესვისათვის მზადებაში (მე-3 გვ.)

იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა უკანონო მოქმედებანი საბჭოთა თვითმფრინავის მიმართ (1-ლი გვ.).

ჯ. გოგიავა — ახალი სოფელი (ფელეტონი მე-3 გვ.).

უცხოეთში

უცხოეთის პრესა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის შესახებ (მე-2 გვ.).

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.).

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

კავშირის საბჭოს 1938 წლის 13 იანვრის სხდომა

დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩევის სიტყვა

ამხანაგო კავშირის საბჭოს დეპუტატებო! მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ტაშკენტის დეპუტატთა ჯგუფმა დამავალა შემოვიტანო წინადადება საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივად მომქმედი კომისიის ორგანიზაციის შესახებ.

ამ კომისიის აუცილებლობა და დიდი მნიშვნელობა ცხადია თვითეულისათვის.

ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების საგანგებო VIII სრულიად-საკავშირო ყრილობაზე კანონმდებლობის შესახებ ამბობდა შემდეგს:

„ბოლოსდაბოლოს საჭიროა ბოლო მოეღოს იმ მდგომარეობას, როცა კანონმდებლობს არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ მთელი რიგი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს. ხოლო კანონების სტაბილობა ახლა უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე. საკანონმდებლო ძალაუფლებას სსრ კავშირში უნდა ანხორციელებდეს მხოლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო“.

ამხანაგებო, სსრ კავშირის კონსტიტუციის 32 მუხლში ამ საკითხის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

„სსრ კავშირის საკანონმდებლო ხელისუფლებას ანხორციელებს მხოლოდდამხოლოდ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო“.

38 მუხლში აღნიშნულია: „კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თანაბარად ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა“.

ყოველივე ამიდან სჩანს, რამდენად აუცილებელია და მნიშვნელოვანი გვყავდეს საკანონმდებლო განზრახულობათა სპეციალური, მუდმივად მომქმედი კომისია. კომისია ვალდებული იქნება დაამუშაოს ხოლმე წინასწარ ესათუის კანონი, რათა შემდეგ განხილული და მიღებული იქნეს იგი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ“.

ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა ვიმუშაოთ კანონების გამოცემაზე, რათა ჩვენმა კანონებმა მომავალშიც მტკიცედ დაიცვან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოპოვებანი და წარმოადგინდნენ საშუალებას მილიონთა მასების სოციალისტური სულისკვეთებით, სოციალისტური დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

კანონთა წინასწარი შემუშავებისათვის, რომელთაც ამიერიდან მხოლოდ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო მიიღებს ხოლმე, წინადადება შემოგაქვს ავირჩიოთ საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია.

დეპუტატ ლ. პ. ბერიას სიტყვა

ამხანაგო კავშირის საბჭოს დეპუტატებო! რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, და საქართველოს სსრ დეპუტატთა ჯგუფის დავალებით შემომაქვს წინადადება კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივ მომქმედი კომისიის შექმნის შესახებ.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავენ სოციალისტური მშენებლობის ინტერესები და მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოების გარემოცვაში იმყოფება.

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. იგი არის მშვიდობიანობის შენარჩუნების პოლიტიკა... ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლების დარტყმას“. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები მთელი საბჭოთა ხალხის აზრებსა და ნება-სურვილს გამოხატავენ.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, მშვიდობიანობის სტალინურ პოლიტიკას, რომელიც ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას ემყარება, მთლიანად და სავსებით იზიარებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, ჩვენი ქვეყნის მთელი 170-მილიონიანი მოსახლეობა.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა მთელი კაცობრიობის თვალწინ ამკლავნებს ომისგამჩაღებლებს, ფაშისტ აგრესორებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც აგრესორთა მიმართ დათმობისა და წაყრუების თავიანთი პოლიტიკის მეხებით ხელს უწყობენ ომის ძალთა შემდგომ განვითარებას.

მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელსაც თანმიმდევრობით ატარებს საბჭოთა სახელმწიფო, მხარს უჭერენ აგრეთვე ხალხის ფართო მასები კაპიტალისტურ ქვეყნებში.

იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველა ხალხისათვის უზრუნველყოფილია მშვიდობიანი შრომა, სამური და ბედნიერი ცხოვრება, კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, ფაშისტური სახელმწიფოების მმართველები ერთმანეთის წინააღმდეგ ამხეცრებენ ხალხებს, თავს ატეხენ ომის საშინელებას ერთი მუჭა იმპერიალისტთა ინტერესებისათვის.

იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმის ეგრეთწოდებული „დიდი“ სახელმწიფოები პატარა ეროვნებებს იმორჩილებენ,—ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, ლენინურ-სტალინური პოლიტიკის მეობებით, ყველა ხალხისათვის უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავება. საბჭოთა კავშირის ხალხები ურღვევი სტალინური მეგობრობით არიან გაერთიანებული ერთიან დიდ ოჯახად. **(მქუხარე ტაში).**



ჩვენი საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტი განმტკიცებულია ჩვენი სახელოვანი, უძლეველი წითელი არმიის ძლიერებით **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები ადგილებიდან: „ვაშა ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს ვაშა!“ რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

ვის უნდა ვუმადლოდეთ ამას, რომ ჩვენი ქვეყანა დიდი სოციალისტური სახელმწიფო გახდა?

ვის უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია წარმოადგენს ყველაზე ძლიერ არმიას მსოფლიოში? **(ტაში).**

ვის უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა კავშირის ხალხების დიად მეგობრობას?

ყოველივე ამას საბჭოთა კავშირის ხალხები უნდა უმადლოდნენ ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას, დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას. **(მქუხარე ტაში. მხურვალე ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, საბჭოთა სახელმწიფოს სულ უფროდაუფრო მზარდი ძლიერება კიდევ უფრო აბოროტებს ომის ფაშისტ გამჩაღებლებს და უძლიერებს მათ ჩვენდამი სიძულვილს. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც გარს არტყიან სსრ კავშირს, შემოხვევას ელიან, რათა თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში, შეარყიონ მისი ძლიერება და დაასუსტონ იგი.

საგარეო პოლიტიკის საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, სტალინური კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად, დეპუტატთა ჩემ მიერ უკვე დასახელებული ჯგუფის დავალებით შემომაქვს წინადადება შეიქმნას კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისია.

დეპუტატ ვ. ნ. პიჩუგინას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო, მე მხარს ვუჭერ დეპუტატ კოროტჩენკოს წინადადებას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსთან მუდმივად მომქმედი საგარეო საქმეთა კომისიის დაარსების შესახებ. **(ტაში).**

დეპუტატ დ. ს. კოროტჩენკოს სიტყვა

ამხანაგებო, უზენაეს საბჭოს დეპუტატებო! სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძალით სსრ კავშირის გამგებლობაში შედის სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, აგრეთვე იმ გადასახადთა და შემოსავლთა დამტკიცება, რომელიც შემოდის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივ ბიუჯეტთა შესაქმნელად.

ბიუჯეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სოციალისტურ მეურნეობაში. ბიუჯეტში გამოსახულებას ჰპოულობს ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება. ბიუჯეტი განსაზღვრავს საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო შემოსავალს ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის. სოციალისტური საზოგადოების განვითარების ინტერესებისათვის, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების განტკიცებისა და განვითარებისათვის, ბიუჯეტი განსაზღვრავს ხარჯებს ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, საქალაქო მეურნეობის მშენებლობისათვის, კეთილმოწყობისათვის, რაც მიმართულია ჩვენი კავშირის მშრომელთა ფართო მასების ცხოვრების კულტურული და მატერიალური დონის ამაღლებლად. ბიუჯეტი განსაზღვრავს საკავშირო სახელმწიფოს ხარჯებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლიერების გადიდებისათვის. **(ტაში).** ბიუჯეტს ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს ხელში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის განმტკიცების საქმეში, მშრომელთა მასების კულტურული და მატერიალური დონის ამაღლების საქმეში და ამჟამად იგი უფრო მეტ მნიშვნელობას იღებს კოოპერატიული საზოგადოების წარმატებით აშენების საქმეში.

საკავშირო სახელმწიფოს ბიუჯეტის საკითხები გულდასმით უნდა განიხილოს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ.

იმ მიზნით, რათა ყურადღებით იქნას განხილული ბიუჯეტი მისი შემოსავლისა და გასავლის ყველა მუხლის მიხედვით, რათა მოეწყოს ბიუჯეტის ყველა მუხლის შესრულების სისტემატური შემოწმება, წინასწარ იქნას ხოლმე განხილული უზენაეს საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად შემოტანილი ბიუჯეტი, — უკრაინის, მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და ყაზახეთის დეპუტატთა ჯგუფის სახელით მე წინადადებას ვიძლევი არჩეულ იქნას კავშირის საბჭოს მუდმივად მომქმედი საბიუჯეტო კომისია.

დეპუტატ ა. ნ. პეტროვსკის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო, მე სიტყვა ავიღე იმისთვის, რომ მხარი დავუჭირო წინადადებას მუდმივად მომქმედი საგარეო საქმეთა კომისიის დაარსების შესახებ. ჩვენი კონსტიტუციის მე-14 მუხლი ამბობს, რომ „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის გამგებლობას, მის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სახით, ექვემდებარება:

...ომისა და ზავის საკითხები;

...სსრ კავშირის თავდაცვის ორგანიზაცია და სსრ კავშირის ყველა მეიარაღებული ძალთა ხელმძღვანელობა“.

საგარეო საქმეთა კომისია კავშირის საბჭოსთან აუცილებელია და ეი რატომ: ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ვიმყოფებით კაპიტალისტურ გარემოცვაში. საბჭოთა კავშირი ძლიერია, და ჩვენ ვიცით ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძალა. მაგრამ, ამხანაგებო, ახლა განსაკუთრებით, ისე როგორც არასოდეს, სწორმოებს ომის აშკარა მზადება.

ჩვენი უკრაინის საზღვრებზე, რუმინეთის მხარეზე, ბერლინისა და რომის აგენტურა აწარმოებს ფაშისტური შემოტევის აშკარა მზადებას. ჩვენ არ შეგვიძლია, ამხანაგებო, უგულებელვჰყოთ ეს ფაქტი. გარდა ამისა, ეგრედწოდებული დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მხრივ არა სჩანს წინააღმდეგობა ფაშისტური აგრესიის მიმართ. პირიქით, იქ თავს იჩენს ერთგვარი ტენდენცია ფაშისტ აგრესორების წინაშე კაპიტულაციისაკენ. ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის ხალხებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ საგარეო პოლიტიკურ საკითხებს. საბჭოთა კავშირის ხალხებმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი ჩვენს მთავრობას მშვიდობიანობისათვის და საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის ბრძოლის მისი თანმიმდევრობითი ლენინურ-სტალინურ პოლიტიკაში. და ამიტომ მე, ამხანაგებო, წინადადება შემომაქვს მხარი დავუჭიროთ წინადადებას კავშირის საბჭოსთან მუდმივად მომქმედი საგარეო საქმეთა კომისიის დაარსების შესახებ. **(ტაში).**

იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა უკანონო მოქმედებანი საბჭოთა თვითმფრინავის მიმართ

ხაბაროვსკი, 13 იანვარი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის გენერალურმა საკონსულომ ხარბინში და სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ტოკიოში არაერთხელ მიმართეს, იაპონია-მანჯურიის ხელისუფალნი დღემდე არ აბრუნებენ სამოქალაქო ავიაციის საფოსტო თვითმფრინავს, რომელიც ვლადივოსტოკ-ხაბაროვსკის ხაზზე მიმოდიოდა, და, როგორც ამას ვიუწყებოდით, 19 დეკემბერს ხაბაროვსკიკენ გაფრინდა, მაგრამ გზა დაუბნა და იძულებული გახდა მანჯურიის ტერიტორიაზე დაშვებულიყო.

დასაწყისში იაპონია-მანჯურიის ხელისუფალნი დიდ ხანს ისე გვაჩვენებდნენ თავს, თითქოს მათთვის საერთოდ უცნობი იყო მანჯურიის ტერიტორიაზე საბჭოთა თვითმფრინავის ძირდაშვების ფაქტი, შემდეგ კი აღიარეს რა ეს ფაქტი, ისინი ყოველგვარი მოჭორილი საბაბით უარს ამბობდნენ და დღემდეც უარს ამბობენ გვაცნობონ, თუ სახელდობრ სად დაეშვა თვითმფრინავი.

ამავე დროს ზუსტად არის ცნობილი, რომ საფოსტო თვითმფრინავი იძულებული გახდა დაშვებულიყო გოლინძის სადგურის რაიონში ყოფილ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის აღმოსავლეთის ხაზზე, ამასთან მფრინავი გუსაროვი და მისი თანაშემწე დაუყოვნებლივ გაიგზავნენ მცველების თანხლებით ხარბინში, სადაც დღემდე ჰყავთ. თვითმფრინავზე იყო ჩვეულებრივი სამოქალაქო ფოსტის დიდი რაოდენობა რამდენიმე საფოსტო ყუთში, სულ 11 ათასზე მეტი წერილი და საფოსტო გზავნილი. შემდეგ ზუსტად არის ცნობილი, რომ თვითმფრინავი დაავალეს იაპონელმა სამხედრო პირებმა და რომ მთელ საქმეს აწარმოებს იაპონიის სამხედრო მისია ხარბინში. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იაპონიის მთავრობას განუცხადოს საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას ტოკიოში, რომ იაპონიის მთავრობას თითქოს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდეს ამ საქმესთან, და მანჯოუ-გოს მთავრობისკენ გაუთითოს.

იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა მოქმედება ამ საქმეში, რაც არ-ღვევს არა მარტო ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში საყოველთაოდ მიღებულ წესს, არამედ გზააბნეული თვითმფრინავებისა და მფრინავების ურთიერთი მიცემის პრაქტიკასაც, რაც დამყარებული იყო საბჭოთა და იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა შორის, დიდ აღშფოთებას იწვევს შორეული აღმოსავლეთის საზოგადოებრიობაში. ფოსტის დაკავება კი საერთაშორისო ურთიერთობაში სრულიად გაუგონარი ხულიგნობის აქტია.

ყოველივე ამის გამო აქ გამოსთქვამენ რწმენას, რომ ჩვენი ხელისუფალნი მიიღებენ აუცილებელ ზომებს მფრინავების, თვითმფრინავისა და ფოსტის დაუყოვნებლივ დასაბრუნებლად.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1938 წლის 14 იანვრის სხდომის შესახებ

14 იანვარს, დღის 11 საათზე, კავშირის საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ აბხ. **ა. ს. შჩერბაკოვის** მოხსენება კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

ამხ. შჩერბაკოვი აქვეყნებს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგებზე 569 საარჩევნო ოლქის მიხედვით:

„შეამოწმა რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა ცალკე თვითეულ დეპუტატზე, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია ადასტურებს:

1. კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 569 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათთან სრული შეფარდებით.

2. არავითარი საფუძველი არ არის არჩევნების გასაუქმებლად რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივრები და განცხადებანი კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისას კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების დარღვევაზე როგორც საარჩევნო ოლქებში, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შემოსულა.

ზემოაღნიშნულის გამო, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს კავშირის საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და რომელთა სიაც გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიას“ 1937 წლის 15 დეკემბრის № 291-ში“.

კავშირის საბჭომ დეპუტატ აკადემიკოს ა. ა. ბაიკოვის წინადადებით მიიღო შემდეგი დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, კავშირის საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცებულ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომლებიც არჩეული არიან ყველა 569 საარჩევნო ოლქში და გატარებული არიან რეგისტრაციაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა“.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო დადგენილების მიღების შემდეგ კავშირის საბჭოს მესამე სხდომა დაიხურა.

სოციალიზმის ქვეყანა ალფრთოვანებით ეხვეწება საბჭოთა პარლამენტის სესიას

ინსტიტუტში, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი-ორდენოსანი ა. ნ. ბახი

მოსკოვი, 13 იანვარი (საკდესი). კარპოვის სახელობის ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტს, რომელიც სწყვეტს ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემებს, ხელმძღვანელობს დიდი საბჭოთა მეცნიერი, კავშირის საბჭოს დეპუტატი, აკადემიკოსი-ორდენოსანი ა. ნ. ბახი.

როცა გაიგეს, რომ კავშირის საბჭოს პირველი სესია გახსნა აკადემიკოსმა ბახმა, ინსტიტუტის მთელმა კოლექტივმა ერთსულოვნად გაბოხატა სიხარულისა და თავისი ხელმძღვანელით სიამაყის გრძნობა. ამ განწყობილებამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მიტინგზე, რომელიც დღეს მოწვეულ იქნა კარპოვის სახელობის ინსტიტუტში.

მიტინგზე აკადემიკოსმა ა. ნ. ბახმა თავის მოწაფეებს მიმართა გულთბილი მგრძნობიარე სიტყვით.

— მე წილად მხვდა დიდი პატივი, — სთქვა აკადემიკოსმა ბახმა, — მონაწილეობა მემეღო საქმეში, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაში. იმის ნახვა, რაც გუშინ და დღეს ხდებოდა კრემლში, — მარტო ეს უკვე ბედნიერებაა, ხოლო მასში მონაწილეობის მიღება — ეს ორმაგი ბედნიერებაა!

— დარბაზი გაჭედილი იყო აღფრთოვანებული ადამიანებით. ადამიანი ჰგრძნობდა, რომ ეს არის ერთიანი, ძლევამოსილი, ჰარმონიულად მოქმედებული კოლექტივი, რომელიც მიდის ადამიანის მისწრაფებათა მწვერვალებისაკენ, რომელიც ჰქმნის ბედნიერ ცხოვრებას.

— მე ძველი კაცი ვარ და ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში, ბაგრამ ის, რის მოწმეც მე გუშინ ვიყავი კრემლში, — განუმეორებელია. ხალხთა ბრძენი ბელადისადმი ღრმა, გულწრფელი სიყვარულის გრძნობა, გაერთოვანებული ოვაციები მის მიმართ, რომლებიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, — ყოველივე ეს წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა!

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველება საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს პირველი სესიის გახსნას.

სურათზე: ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. ქსოვრელი, რომელმაც 9 იანვარს გეგმა 1059 პროცენტით შეასრულა.

ახალი საწარმოო ვალდებულებით შეხვდნენ

უდიდესმა სიხარულმა და აღფრთოვანებამ მოიცვა კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სტახანოველები, მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები, როცა გაიგეს, რომ გაიხსნა და მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია.

საბჭოთა პარლამენტის პირველი სესიის გახსნის შესახებ გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ერაძემ.

— კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს ისეთი ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, როგორიც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ჩატარდა, — სთქვა სალურსმნო საამქროს უფროსმა ამხ. ქეშელაშვილმა—სესიის პატივსაცემად ჩვენი საამქრო კისრულობს 1-ლი კვარტალის გეგმა ორნახევარ თვეში შეასრულოს.

სალურსმნო საამქროს სტახანოველმა ამხ. ოგანეზოვმა იკისრა ვალდებულება სესიის გახსნის პატივსაცემად იანვრის გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს.

სამინო საამქროს ოსტატმა ამხ. ფედოლიანმა განაცხადა, რომ მისი საამქროს კოლექტივი წლიურ გეგმას 9 თვეში შეასრულებს.

სარემონტო ბრიგადის ოსტატმა ამხ. პოლოსოვმა იკისრა ვალდებულება, რომ მისი ბრიგადა ყოველთვის დაუგეგმაებლივ შეასრულებს ბრიგადისათვის შეკვეთილი მანქანებისა და მათი ნაწილების რემონტს და, ამრიგად, ხელს შეუწყობს სტახანოვური მუშაობის შემდგომ გაშლას ქარხანაში.

სამოდელო საამქროს ოსტატმა ამხ. გორსკიმ, ლაგზიანმა და სხვებმა სთქვეს: სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნამ მოგვანიჭა უსაზღვრო სიხარული და ბედნიერება. ჩვენ პირობას ვიძლევით, კიდევ მეტი ენტუზიაზმითა და ენერგიით ვიბრძოლოთ ლენინ-სტალინის დიდი საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

უცხოეთის პრესა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის შესახებ

ინგლისი

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალი პირველი სესიისათვის მზადების შესახებ საბჭოთა კავშირში. კორესპონდენტი დაწვრილებით აღწერს დეპუტატების ჩამოსვლას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე, და კერძოდ დეპუტატის ჩამოსვლას ჩუკოტკის ნახევარკუნძულიდან.

„დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მოსკოვი სიხარულით ეგებება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც სესიაზე ჩამოდიან თვალუწვდენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან“.

ოდივე კორესპონდენტი იუწყება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატებს ამომრჩევლების მიერ მიცემული აქვთ გაწერილი მიესალმონ ამხანაგ სტალინს საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

საფრანგეთი

პარიზი, 13 იანვარი (საკდესი). „ლუმანიტე“, „ერ ნუველი“, „ფიგარო“ ათავსებენ ანგარიშს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ. „ერ ნუველო“ და „ლუმანიტე“ აღნიშნავენ იმ აღტაცებულ ოვაციებს, რომლებითაც შეხვდნენ კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო ამხანაგ სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების — ამხ. მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ანდრეევის, ეჟოვის და მთავრობისა და პარტიის სხვა ხელმძღვანელთა გამოჩენას სხდომების დარბაზში.

„ერ ნუველი“ კავშირის საბჭოს სესიის გახსნელის აკადემიკოს ბახის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში გამოჰყოფს შემდეგ ადგილს: „ჩვენ ვკითხულობდით მშვიდობიანობა, მაგრამ თუ თავს დაგვესხმიან, ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, და მაშინ ვაი ჩვენს მტრებს“.

ყოველმხრივ განვამტკიცოთ სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

გორკი, 11 იანვარი (საკდესი). მოლოტოვის სახელობის ავტომქარხნის მოწინავე სტახანოვური უბნების მუშებმა და მეთაურებმა თავის დეპუტატებს აბხანაგ ნ. ა. ეჟოვს და ვ. პ. ჩკალოვს მიმართეს წერილით, რომელშიაც სწერენ:

„გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრობინოთ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს სოციალისტური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომს ყოველმხრივ გაძლიერებას. ჩვენი არმია, ფლოტი, საჰაერო ძალები მუდამ, ყოველ დროს უნდა იყვნენ ტექნიკურად უკეთესად აღჭურვილნი და გაწრთვნილნი, ვიდრე ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფოს ყოველი არმია.

ულმობელი ვიყოთ ხალხის მტრებისადმი. რკინის ცოცხით აღვკვეთოთ ტროცკისტ-ბუხარინელი ქვეწარმავლნი და ყოველნაირი მათი მსგავსი სიბინძურე და სიბილწე—ფაშისტთა ჯაშუშები და დივერსანტები.

ჩვენ, წარმოების მუშებმა და მეთაურებმა, ჩვენი განყოფილებები, უბნები და ხაზები სტახანოვური გავხდეთ. 80-ზე მეტი სტახანოვური კოლექტივი ახალ სამეურნეო წელს შეხვდა პროგრამის ვადამდე შესრულებით. ახალ წელს თვითეულ ჩვენგანს, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს, თავის მოვალეობად მიაჩნია—ჩვენი კოლექტივების სტახანოვური მუშაობის მეთოდები გავრცელოს ასეულობით სხვა განყოფილებებსა, უბნებსა და ხაზებს შორის. მესამე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს მოლოტოვის სახელობის ავტომქარხანა მთლიანად სტახანოვური ქარხანა უნდა გახდეს“.

დღეს ავტომქარხნის საამქროებში შესდგა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიისადმი მიძღვნილი მიტინგები.

საწარმოო ენთუზიაზმის ახალი ტალღა

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნისადმი.

— ჩვენი ფაბრიკა,—სთქვა თავის სიტყვაში ფაბრიკის დირექტორმა ამხ. კ. გეგუჩაძემ,—ამაყობს თავისი საუკეთესო სტახანოველებით, სოციალისტური სამშობლოს ამ მოწინავე ადამიანებით, წარმოების ენტუზიასტებით, რომელთა ს'შუალებით ფაბრიკამ წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა.

— ფაბრიკის კოლექტივი,—განაგრძობს ამხ. გეგუჩაძე,—ამაყობს აგრეთვე იმით, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის დეპუტატებს შორის, ჩვენი ქვეყნის ამ საუკეთესო ადამიანთა შორის არის ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის წარმომადგენელი, ჩვენი ამხანაგი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანი ამხ. ეთერ ნიკოლოზის-ასული მაზანაშვილი.

— წინადადება შემომაქვს—12 იანვარს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევასთან დაკავშირებით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ მოსკოვის აბრეშუმის კომბინატი „კრასნაია როზა“.

ამხ. გეგუჩაძის წინადადებას ფაბრიკის მთელი კოლექტივი დიდი აღფრთოვანებითა და ოვაციით შეხვდა.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ფაბრიკის სტახანოველებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულება მიმდინარე წლის 12 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულონ სტალინური მესამე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა.

— ჩვენ, ფაბრიკის მუშები,—ლაპარაკობს საქსოვ საამქროს მესამე კომპლექტის ოსტატი ამხ. ივანე ივანისელი,—დიდი სიხარულით შევხვდით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნას. ეჭვი არაა, რომ ფაბრიკის მთელი კოლექტივი გვერდში ამოუდგება ამხ. ეთერ მაზანაშვილს და დაეხმარება იმ დიდი მოვალეობის წარმატებით შესრულებაში, რაც მას ამომრჩევლებმა დააკისრეს. პირადად მე ვკისრულობ იანვრის გეგმა შევასრულო 120 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა—5 დეკემბრისათვის.

— ვღებულობ ვალდებულებას,—განაცხადა სტახანოველმა ქალმა ამხ. ლ. ბაქრაძემ,—იანვრის გეგმა შევასრულო 140 პროცენტით. ჩვენ, სტახანოველი ქალები, გავამართლებთ სტახანოველის საპატიო სახელწოდებას და ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ გამარჯვებული გამოვიდეთ „კრასნაია როზასთან“ შეჯიბრებაში. ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შევასრულებთ ფაბრიკის წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმას და გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს ხალხის ყველა ჯურის მტრის ბოლომდე გამომჟღავნებისა და განადგურებისათვის.

ასეთივე ვალდებულებები აიღეს ოსტატმა ამხ. ვ. ბარნაბიშვილმა, სამღებრო სააპრეტურო ცვლის ოსტატმა ამხ. კ. წვერავამ, რაისა საველიევამ, ერ. ზამთარაძემ, ინჟინერმა ანა დანელიანმა, სერგო იარალოვმა, მჭოველმა ნადია ბალანაშვილმა და სხვ.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიასთან დაკავშირებით აიღო ვალდებულება სტალინური მესამე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა შეასრულოს 12 დეკემბრისათვის მაღალი მაჩვენებლებით და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოსკოვის აბრეშუმის კომბინატის „კრასნაია როზას“ კოლექტივი.

საერთო კრებამ, რომელსაც 560-მდე კაცი დაესწრო, სოცშეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ მიმართა გაუგზავნა მოსკოვის აბრეშუმის კომბინატს „კრასნაია როზას“, გამოწვევის ასლი გაუგზავნა გაზეთ „მსუბუქ ინდუსტრიას“ და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატს ამხ. ეთერ ნიკოლოზის-ასულ მაზანაშვილს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავის წინ

დნეპროპეტროვსკი, 13 იანვარი (საკდესი). დნეპროპეტროვსკში ფართოდ გაიხადა მზრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავისათვის მზადება. დნეპროპეტროვსკის რევოლუციის მუზეუმი აწყობს იმ ისტორიულ დოკუმენტებისა და მასალების ფოტოასლების გამოფენას, რომლებიც ვ. ი. ლენინის ცხოვრებას და რევოლუციურ მოღვაწეობას შეეხება. დიდ მხატვრულად გაფორმებულ გამოფენას, რომელიც ასახავს ვ. ი. ლენინის ცხოვრების გზას, აწყობს ილიჩის სახელობის კულტურის სასახლე.

პეტროვსკის სახელობის, ლენინის სახელობის, კომინტერნის სახელობისა და სხვ. ქარხნების საამქროებში აგიტატორები აწყობენ საუბრებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, კითხულობენ ვლადიმერ ილიას-ძის ნაწარმოებებსა და ამხანაგი სტალინის სტატიებს ლენინის შესახებ.

სტალინის რკინიგზის პოლიტგანყოფილება აწყობს საუკეთესო პროპაგანდისტთა და აგიტატორთა 3 ექსკურსიას მოსკოვში, ვ. ი. ლენინის მუზეუმში.

დონის როსტოვი, 13 იანვარი (საკდესი). როსტოვის ფაბრიკებისა და ქარხნების ყველა საამქროში იმართება საუბრები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. პარტიული განათლების ქალაქის სახლში იხსნება დიდი გამოფენა.

„მურმანეცი“ გავიდა ზღვაში

გემი „მურმანეცი“, 12 იანვარი (საკდესის სპეცკორი). (დაყოვნებულია მურმანსკის ტელეგრაფის მიზეზით). (საკდესი). 22 საათისათვის გადაიარეთ 200 მილი. ვიმყოფებით 72-ე პარალელზე. მივდივართ ნორვეგიის ნაპირების გასწვრივ, კურსით დათვის კუნძულისაკენ. შტორმის შემდეგ ამინდი უმჯობესდება. გემზე იწყება ნორმალური ცხოვრება. ეკიპაჟი აღგზნებულია სურვილით შეასრულოს საპასუხისმგებლო დავალება.

ზღვაში გასვლის წინ „მურმანეცის“ კაპიტანმა ამხ. ულიანოვმა, მისმა თანაშემწემ პოლიტნაწილში ამხ. დიაკოვმა და მატროსმა—ორდენოსანმა ამხ. ლევიცკიმ, ეკიპაჟის დავალებით, წერილით მიმართეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში—ამხანაგ სტალინს, სსრ კავშირის საბჭომაბჭოში—ამხანაგ მოლოტოვს და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში—ამხანაგ შმიდტს.

„ჩვენ ვამაყობთ და ბედნიერი ვართ,—სწერენ ისინი,—რომ წილად გვხვდა საპატიო პასუხსაგები ამოცანა—წავიდეთ გრენლანდიის ზღვაში, რათა ჩვენ ატაროთ მოსამზადებელი მუშაობა მოდრეიფე ყინულიდან პაპანინელთა გადმოსაყვანად. მიდის რა ამ პასუხსაგებ რეისში, ეკიპაჟი სტყვას აძლევს პარტიას, მთავრობას და მთელს საბჭოთა ხალხს, რომ ამ ამოცანას იგი სასახელოდ შეასრულებს“.

ოქროს ზოდი, წონით 2 კილოგრამი

სვერდლოვსკი, 13 იანვარი (საკდესი). ოქროს მძებნელებმა სუდაკოვმა, პოლიაკოვმა და ძმებმა კლიმოვებმა, რომელნიც სოფელ ეკატერინოვკის მახლობლად მუშაობენ, ამ დღეებში იპოვნეს თვითნაბადი ოქრო, წონით 2 კილოგრამი. ოქრო გადაეცა სახელმწიფოს.

უმოკლეს ვადაში გამოვასწოროთ ჩამორჩენა თესვისათვის მზადებაში

ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში

სილნაღი, 13 იანვარი. (საქდესი). სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. გ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე საგაზაფხულო თესვისათვის სომზადების წარმატებით ჩატარების მიზნით. წნორისწყლის მტს-ი უკვე ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. აღნიშნული მტს-ის დირექციამ, პარტიულმა კომიტეტმა და მუშა-მოსამსახურეთა მთელმა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წითელწყაროს მტს-ი. წნორისწყლის მტს-მა იკისრა: ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთების დროულად და ხარისხიანად შესრულება, სათესლე მასალის მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის, საგაზაფხულო ხვნის ხარისხის დაცვა, მუშების მატერიალური და კულტურული მომსახურების გაუმჯობესება. წითელწყაროს მტს-მა თავის მხრივ მიიღო ეს გამოწვევა და ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრების მუხლების შესრულების შემოწმება მიენდო საქ. კ. პ. (ბ) სილნაღის რაიკომს, რაიაღმასკომსა და გაზეთ „კოლმეურნეს“ რედაქციას.

როგორ ემზადებიან

ლაგოდეხი, 13 იანვარი (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებში უკანასკნელ დროს სერიოზული მუშაობა გაიშალა საგაზაფხულო თესვისათვის. მტს-მა 10 იანვრისათვის კაპიტალურად შეაკეთა 14 ტრაქტორი, 5 ქალი გუთანი; კოლმეურნეობებმა შეაკეთეს 461 გუთანი, 491 ფარცხი, 36 კულტივატორი და სიმინდის სათესი 14 მანქანა, დამზადებულია 1.561 ცენტნერი სათესლე სიმინდი და სხვა კულტურების თესლი 1.121 ცენტნერი; მაგრამ ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ ლელიანის, კაბალის და ორჯონიკიძის სახ. სახოებში შემავალი კოლმეურნეობები, მათ არ დაუწყიათ რემონტი, არ მოუმზადებიათ თომბაქოს სათბურეები. ამ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს—მაისურაძეს, გაბრიჩიძეს, და ყარამაზოვს არ გაუშლიათ მუშაობა საგაზაფხულო თესვის საკითხზე. აქ არც მუშა-პირუტყვია გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას კარგად ვერ ხელმძღვანელობს რაიმიწგანი; რაიონის უფროსი აგრონომი პატიაშვილი ამ გადამწყვეტ მომენტში გაუშვეს შვებულებაში.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფებიან რაიონებში. დიდ დახმარებას უწევენ მტს-ებს იარაღ-მანქანების შეკეთებაში.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): სტახანოველი ზეინკლები საფაროვი და ადამოვი (გეგმებს ასრულებენ 150-200 პროცენტით) მწკრივად სათესის მანქანის შეკეთებაზე (გორი).

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ხარისხოვანი თესლი არ აქვთ, იარაღ-მანქანები შეუკეთებელია

(მახარაძე, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

რაიმიწგანისა და მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკებს რომ შეეკითხოთ, თუ როგორ მიმდინარეობს რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადება, ისინი ერთსა და იმავე პასუხს მოგცემენ: — თესვისათვის მზად ვართ, სათესლე სიმინდის გამოყოფის გეგმა გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული, ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტსაც ვადაზე დავამთავრებთო.

ასე აცხადებენ ისინი, მაგრამ სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხვდებით.

მახარაძის რაიონს სიმინდის თესლის გამოყოფის გეგმა 136 პროცენტით აქვს შესრულებული, მაგრამ მისი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. 2540 ცენტნ. სიმინდის თესლიდან პირველ კატეგორიაში ჩარიცხულია მხოლოდ 197,8 ცენტნერი. მეორეში — 80, მესამეში — 213, ხოლო დანარჩენი 2049 ცენტნერი სრულიად უკატეგორიოა. უკატეგორიო თესლი კი სათესლედ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ იგი გულდასმით არ გადაირჩა.

რაიონის 33 კოლმეურნეობიდან სიმინდის ხარისხოვანი თესლი მხოლოდ 8 კოლმეურნეობას აქვს. როგორც სჩანს, აქ სიმინდის გადარჩევის დასაჩქარებლად თავს არ იწუხებენ (გადარჩევა 1 დეკემბრამდე უნდა დამთავრებულიყო). მიწსახკომის გეგმით, მახარაძის რაიონმა „სახვალიშფონდისა“ და „ზაგოტზერნოსგან“ უნდა მიიღოს 558,9 ცენტნერი აგვამეთის თეთრის და ბაბშის ყვითლის ჯიშის სათესლე სიმინდი, მაგრამ იგი კოლმეურნეობებს შორის მტს-სა და მიწგანს ჯერ არ გადუნაწილებიათ.

კარტოფილის თესლი 300 ცენტნერის ნაცვლად კოლმეურნეობებში მხოლოდ 115 ცენტნერია გამოყოფილი. გეგმით აქ წელს უნდა დაითესოს ბოსტნეული 215 ჰექტარი, ლობი და ბრინჯი — 30 და ლობიო გამოთესვით 2105 ჰექტარი, მაგრამ რამდენად უზრუნველყოფილია რაიონი ბოსტნეულის, ლობიოს, ლობიოსა და ბრინჯის თესლით, მტს-ში ეს ჯერაც არ იციან.

ტრაქტორების რემონტი მახარაძის მტს-ში 1 იანვარს დაიწყო. 11 ტრაქტორიდან 9 დეკემბრისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ სამი და არც ეს ტრაქტორები ჰქონდათ შემოწმებული და აქტით ჩაბარებული, სარემონტო ბრიგადები ერთმანეთს შორის სოცშეჯიბრებაში ფორმალურად არიან ჩაბმულნი, დაცდენილია დისციპლინა. პირველ ბრიგადაში 5 კაცის მაგივრად 3 მუშაობს, ბრიგადის წევრს გ. ჯახუტაიშვილს რემონტის დაწყებიდან არცერთი დღე არ უმუშავნია. მეორე ბრიგადაში სრულიად არ გამოცხადებულან სამუშაოზე ტრაქტორისტები სიმონ სალუქვაძე და შალვა ურუშაძე. სახელოსნო სანახევროდაც არ არის უზრუნველყოფილი სათადარიგო ნაწილებითა და სხვა სარემონტო მასალებით.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტის მხრივ. კოლმეურნეობებში შესაკეთებელია 142 გუთანი, 242 კულტივატორი, აგრეთვე ურმები, ფარცხები, სეკატორები, შესაწამლი აპარატები და სხვ. კოლმეურნეობათა უმეტესობას საკუთარი სამჭედლოები და სადურგლო სახელოსნოები აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი იარაღ-მანქანებისა და ინვენტარის შეკეთებას ჯერაც არ შესდგომიან.

შუა - ბახვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ნიკოლაიშვილი თვენახევრის წინათ სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს ისე, რომ მისი განთავისუფლების შესახებ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე საკითხიც კი არ დაუსვამთ. ამ კოლმეურნეობაში, რომელიც უთავმჯდომაროდ არის მიტოვებული, სავაზაფხულო თესვისათვის მზადება სრულიად მივიწყებულია. არ დაუწყიათ სათესლისა და კულტივატორების რემონტი, ალურიცხავია დაზიანებული ურმები, ფარცხები და სხვა ინვენტარი.

სუსტი მუშა-პირუტყვი არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე. კოლმეურნეობას ჰყავს 79 ხარი, 23 ცხენი და 39 სული სხვა პირუტყვი, ნორმალური პირობებში მარტო ცხენებს 60 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები სჭირდებათ, აქ კი 144 სული სხვადასხვა სახის პირუტყვისათვის მხოლოდ 25 ცენტნერია საკვებია. კონცენტრირებულ საკვებთან ერთად კოლმეურნეობას აკლია უხეში საკვებიც. მსგავსი სურათია მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

სუსტად მუშაობს „საქსოფლმომარაგების“ ადგილობრივი განყოფილებაც. კოლმეურნეობის დაკვეთით მას რაიონში უნდა შემოეტანა 100 კულტივატორი, 220 სეკატორი, 1800 ბარ-ფიწალი, აგრეთვე 300 ცალი ავტომაქსისა და ვერმორელის აპარატები. ჩაის წამლობა 1 თებერვლიდან უნდა დაიწყოს, „სოფლმომარაგება“ კი ამ დაკვეთების შესრულებას ჯერაც არ შესდგომია. რაიონს სჭირდება 150 ცალი გუთანი „ბკ5“, რომელიც გამოსადეგია როგორც სასიმინდე ნაადაგის მოსახნავად, ისე ჩაის პლანტაციების რიგთა შორის სამუშაოდ. „საქსოფლმომარაგებამ“ კი 150 ცალის მაგივრად მხოლოდ 30 გუთანი შემოიტანა და ისიც სხვა მარკის, რომელიც ადგილობრივ პირობებისათვის ნაკლებად გამოსადეგია.

როგორც ზემომოყვანილი ფაქტებიდან სჩანს, მახარაძის რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას საჭირო ყურადღება არ ექცევა. არ არის ჯიშიანი და ხარისხოვანი თესლი. შეუკეთებელია იარაღ-მანქანები, წესიერად არ უვლიან მუშა-პირუტყვს, რაც საფრთხეს უქმნის თესვის კამპანიის წარმატებას.

გორის რაიონში თესვისათვის არაღმაკმაყოფილებლად ემზადებიან

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან).

გორის მტს-მა ერთი თვის დაგვიანებით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი. ეს სამუშაო ამჟამადაც ნელი ტემპით მიმდინარეობს.

„საქსოფლმომარაგებისა“ და სატრაქტორო-საავტომობილო მრეწველობის სამმართველოს განყოფილებები აგვიანებენ ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილის მოწოდებას. ამის გამო ხშირად სარემონტო ბრიგადები დღეობით უქმდებიან.

ლ. უხურგუნაშვილის სარემონტო ბრიგადა მომცდარია იმის გამო, რომ არა აქვს ტრაქტორების ცილინდრები და საკისურები, მეთორმეტე ბრიგადის ტრაქტორი № 37 რემონტიდან არ გამოსულა იმის გამო, რომ მას აკლია სატელიტის ჯგნილანა. ალ. თვალიაშვილის სარემონტო ბრიგადამ ორი ტრაქტორი შეაკეთა, მაგრამ მათ აკლიათ მკვებავი მილები და ცილინდრები.

მეორე სარემონტო ბრიგადას, რომელსაც სტახანოველი ლ. ბაბიჩი ხელმძღვანელობს, არა აქვს კალა. ბაბიჩისა და ი. მიხაილოვის ბრიგადები 5 დღე გაცდნენ განმანაწილებელი ღერძის უქონლობის გამო.

გორის მტს-ში მოუწესრიგებელია ტრაქტორისტების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველივე ეს იწვევს შრომის დისციპლინის დაცემას.

სახელოსნოს არა ჰყავს ელექტროსი. შეკეთებული და შეუკეთებელი იარაღ-მანქანები ცის ქვეშ ჰყრია და ზიანდება.

ასეთივე მდგომარეობაა ახალსოფლის მტს-ში. სარემონტო სახელოსნო წესრიგში აქ რამდენიმე დღის წინათ მოიყვანეს. თუმცა რემონტთან აქ ჯერ არცერთი ტრაქტორი არ გამოუშვიათ.

ნაკლები ყურადღება ექცევა რემონტზე მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებას. ბრიგადირ ნ. საღირაშვილსა და ბევრ სხვა ტრაქტორისტს ჯერ არ მიუღია გასულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე ჯუთვნილი პროდუქტები.

ახალსოფლის მტს-ის დასახმარებლად 7 იანვარს თბილისიდან აქ ჩამოვიდა სტახანოველ სპეციალისტთა ბრიგადა ზეინკალ ი. ავსაჯანაშვილის, ინჟინერ-მექანიკოსის გ. სუჯაშვილის და ნ. ქემაშვილის მონაწილეობით. ბრიგადა ენერგიულად მუშაობს, რათა ახალსოფლის მტს-ი გამოიყვანოს ჩამორჩენიდან, მაგრამ თუ მას საჭირო პირობები არ შეუქმნეს და არ დაეხმარონ, ნაყოფიერად ვერ იმუშავებს.

გორის რაიონში არც სათესლე მასალის გამოყოფას, გაწმენდასა და ჩვეულებრივი თესლის ჯიშიან თესლზე გადაცვლას ექცევა სათანადო ყურადღება.

სოფ. სვენეთის კოლმეურნეობა „ვარსკვლავს“ 5 იანვრამდე უნდა გაეწმინდა და შეეწამლა 200 ცენტნერი თესლი. 10 იანვრისათვის ეს სამუშაო სანახეროდაც არ იყო შესრულებული.

სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადს“ გამოყოფილი აქვს სათესლედ სიმინდი 93 ცენტნერი, გაზაფხულის ქერი—50 ცენტნერი და ლობიო—100 კილოგრამი, მაგრამ მათი გაწმენდა ჯერაც არ დაუწყიათ. კოლმეურნეობას აქვს თესლისსაწმენდი ხუთი მანქანა, რომლებიც შეუკეთებელია, ცისქვეშ ჰყრია და ზიანდება. აქ ჯიშიან თესლზე გადაცვალეს 48 ცენტნერი სიმინდი, მაგრამ იგი ცუდ ბინაში აქვთ შენახული. მას აწვიმს და ფუჭდება.

სოფ. დიცის კოლმეურნეობაში ქერის თესლის გაწმენდა ჯერაც არ დაუწყიათ. აქ თესლისსაწმენდი მანქანა შეკეთებას საჭიროებს, ინვენტარს ცუდად უვლიან, სათესი და სამკალი მანქანები მინდვრად ჰყრია და მათ ბავშვები ამტვრევენ.

სოფ. ზერტის კოლმეურნეობა „შრომას“ აკლია სათესლე სიმინდი. აქ ატ ზრუნავენ სიმინდის ჯიშიან თესლზე გადაცვლის დაჩქარებისათვის. თესლის შესანახ ბინებს გაკეთებული არა აქვს დეზინფექცია.

სოფ. კარალეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას გაზაფხულის ხორბლის თესლი 78 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილი აქვს მხოლოდ 40 ცენტნერი, აკლია აგრეთვე 10 ცენტნერი ქერის თესლი.

თესლისსაწმენდი ოთხი მანქანიდან აქ მხოლოდ ერთია გამოყენებული. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ოუვლელია.

სოფ. შინდისის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ სიმინდის თესლი 50 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილი აქვთ 24 ცენტნერი. თესლისსაწმენდი, ხეხილის შესაწამლი აპარატები და სათესი მანქანები შეუკეთებელია.

სოფ დიდიბერშეთის კოლმეურნეობაში სათესლე ხორბალი სანაზღვროდაც არ არის გაწმენდილი. თესლის ხარისხიც ძალიან ცუდია.

კარგი მდგომარეობაა სოფ. ბერბუკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, ხიდისთავის კოლმეურნეობა „ახალ მეურნეში“ და ფხვენისის კოლმეურნეობაში, სადაც თესლი საკმაო რაოდენობით აქვთ გამოყოფილი, გაწმენდილი და ჩვეულებრივი თესლი ჯიშიან თესლზე აქვთ გადაცვლილი.

გორის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვს წესიერად არ უვლიან. საერთო ბოსლები შეკეთებას საჭიროებენ. მუშა-პირუტყვს არ კვებავენ კონცენტრირებული საკვებით, რის გამო იგი დასუსტებულია.

სოფ. ზერტის კოლმეურნეობა „შრომას“ არა აქვს საერთო ბოსელი, ამ კოლმეურნეობის 162 სული საქონელი მოსავლელად მიბარებული ჰყავთ ცალკე კოლმეურნეებს. ინდივიდუალურ ბოსლებში ანტისანიტარიაა. კოლმეურნეობას არ გამოუყვია კონცენტრირებული საკვები. უხეში საკვების მარაგი საქონელს თებერვლის ბოლო რიცხვებამდე თუ გაჰყვება. ცუდი მოვლის გამო კოლმეურნეობის ხუთ სულ ხარს დაკარგული აქვს შრომის უნარი.

სოფ. დიცის კოლმეურნეობის მუშა-პირუტყვის მომვლელი ს. სოსიაშვილი გულგრილად ეკიდება თავის საქმეს. კარგადაც მოვლილი მუშა-პირუტყვი ფხვენისის და ჭახვრელის კოლმეურნეობებში. ფხვენისში პირუტყვს კონცენტრირებული საკვებით ჰკვებავენ. საქონელს ატყვია მომვლელთა მზრუნველი ხელი. მოვლილობით განსაკუთრებით გამოირჩევა ს. მირუაშვილზე და ა. ტერაბრამოვზე მომაგრებული საქონელი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხს. მაგალითად, სოფ. ხიდისთავისა და დიცის კოლმეურნეობების არცერთი ბრიგადა არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოფ. ფხვენისის კოლმეურნეობას გასულ წელს სოფ. ბერბუკის კოლმეურნეობა ჰყავდა გამწვრთვნელი სოციშეჯიბრებაში, მაგრამ შეჯიბრების შედეგების შემოწმებაზე თავი არავის შეუწუხებია.

როგორც სჩანს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები სოცშეჯიბრების გაშლას მეორე რიგის საქმედ სთვლიან.

გორის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ სავაზაფხულო თესვისათვის მზადებაში არსებული გარღვევების გამოსწორებისათვის და სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით საიმედო საფუძველი ჩაუყარონ მომდინარე წელს ბარაქიანი საკოლმეურნეო მოსავლის მიღებას.

ქლ. გოგიავა

ახალი სოფელი

ამ სოფელს კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ ეძახიან ახალს, ისე კი მდინარე ჯუმას ნაპირებზე სოფელი წინათაც იყო. წინათაც მოჰქუხდა მთიდან პატარა ჯუმა და რწყავდა დადიანის სახნავ-სათეს მიწებს. წინათაც გადაჰყურებდა ამ სოფელს ურთას მთა, რომელიც ამჟამად დაფნის პლანტაციებითაა დაფარული. საღამოთი წამოუბერავს ზღვაური თუ არა, დაფნის სურნელი მთელ ახალსოფელს ეფდება. საქართველოს არცერთ კუთხეში არ ხარობს ისე დაფნა, როგორც აქ, ამ მთის მიდამოებში. დაფნას აქ „შქერს“ ეძახიან. იგი კოლმეურნეებს ყოველწლიურად დიდ შემოსავალს აძლევს.

— ეს მინდორი, ახლა რომ მანდარინის ბაღნარით ჰყვავის,—მეუბნება მოხუცი კოლმეურნე ბესარიონი,— წინათ ჭაობით იყო დაფარული, და მალარიით ადამიანი კი არა, პირუტყვიც ავად ხდებოდა. ქინაქინის საყიდლად ჭუთაისში ჩავდიოდით. ახლა ორსართულიანი სახლებითაა ჩვენი სოფელი მოფენილი, წინათ ორსართულიანი სახლი მთელ ზუგდიდში ერთი იყო და ისიც ელისაბედ დადიანს ეკუთვნოდა.

აი აქედან, ურთას მთის მთავარ ფერდობიდან უმიზნებდა „სამეგრელოს დანტონი“ ტუტუ მიქავა დადიანის სასახლეს და აჯანყებული გლეხები თავგანწირვით იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, მაგრამ სამეგრელოს გლეხებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამოისუნთქეს თავისუფლად. 1926 წელს ახალსოფელში მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ სასოფლო-სამეურნეო არტელი.

1932 წელს ახალ სოფელ კოლმეურნეებს შრომადღეზე შეხვდათ ფულად 1 მანეთი და 66 კაპ. და ორი კილო სიმინდი. ეს იყო და ეს. ამ შემოსავლით კოლმეურნეები შორს ვერ წავიდოდნენ. საჭირო იყო უხვი მოსავლისათვის ბრძოლა. კოლმეურნეებმა თავიანთ მუშაობას დიდი სტალინის მითითებები დაუდეს საფუძვლად, განამტკიცეს კოლმეურნეობა და მოკლე დროში ახალი სოფელიც გამოიცვალა. მისი მთავარი ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული სახლების ეზოებს მანდარინის, ლიმონის და ტუნგოს ხეები ამშვენებენ, ხოლო ურთას. მთის ფერდობზე და მდინარე ჯუმას ჭალებში კოლმეურნეობის პლანტაციებია გადაჭიმული.

თუმცა იანვარია, მაგრამ სამეგრელოში მაინც კარგი ამინდებია. ამიტომ მუშაობასაც და დასვენებასაც თავისი შნო და ლაზათი აქვს. კვირა დღეა. სოფლის მოედანზე კოლმეურნეებმა კლუბში მოიყარეს თავი და მათ მხიარულ სიმღერას მეორე სოფელშიც გაიგონებდით. ახალგაზრდები მღეროდნენ. დოლისა და დაირის ბაგა-ბუგს იქაურობა აეკლო. მალე სტახანოველ დუშა ჯაბუას უფროსი ქალიშვილი ოლინკა გამოვიდა და წრეს მარდად შემოუარა. სიმღერას ტაში მოჰყვა. ტაშს დოლი და ისეთი ლეკური გაჰყვა, რომ მოხუცებიც აცეკვებდა. საზეიმოდ გამოწყობილი დუშა ჯაბუა სახეგაბრწყინებული უყურებდა შვილის ცეკვას.

— ამ ცირას ნამდვილი საქორწილო ცეკვა უსწავლია,—უთხრა დუშას ქმარმა და ორივემ გაიცინეს. სახლი ახლახან აიშენა დუშამ, ოთახები მშვენიერად მოაწყო, მალე ქალიშვილის ქორწილსაც გადაიხდის. ტყუილად კი არ ამბობენ ახალსოფლელ კოლმეურნეები, დუშა ჯაბუას ჩიტის რძეც არ აკლიაო. წელს მის ოჯახში 400 შრომადღის ხვავმა და ბარაქამ დიდი სიხარული შეიტანა. დუშამ საკრმიდამო ნაკვეთი თავისი დაუღალავი მარჯვენით ცოტრუსოვანთა ბაღად აქცია.

მოხუცებს შორის ზემოსვანეთის სოფელ შლახიდან სტუმრად ჩამოსული არჩილ გუჯეჯიანი ჩამჯდარა და სვანეთის ოქროს მრეწველობაზე საუბრობს.

— თქვენ მანდარინსა და ფორთოხალს ოქროს ეძახით. მართლაც რომ ოქროა, მაგრამ ჩვენ ინგურის სათავედან ბაჯაღლო ოქრო ამოგვაქვს და მთავრობას გავბარებთ.

— ჩემო არჩილ, გული ნუ დაგწყდება. გაგატანთ მანდარინის ნერგს, იქნებ თქვენშიაც გაიხაროს— უთხრა პატრონმა. სვანს გაეცინა. წინათ სამეგრელოს თავადები მეგრელ და სვან მშრომელებს ერთმანეთს უპისიანებდნენ და შუღლს აგდებდნენ. ახლა კი საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები კოლექტიურმა შრომამ მტკიცედ დაამშობლა. დღეს ახალსოფლელთა ცეკვა-სიმღერა არჩილ გუჯეჯიანსაც ახარებს. ის ცნობისმოყვარეობით ეკითხება გლეხებს: რამდენი შრომადღე გამოიმუშავეთ და რა მიიღეთო.

— მე, ჩემო არჩილ, 636 შრომადღე მაქვს გამომუშავებული. ერთ შრომადღეზე ერთ თუმან ფულსა და 4 კილო სიმინდს მივიღებ. ახლახან ჯუმის უბანში სახლის აშენება დავიწყე. რამდენიმე თვეში ჩემი ახალი სახლი მზეს გაუცინებს,—იხარულით ამბობს ჟორჟი დარასელია.

ამ დროს კლუბში ილიკო და შალვა დარასელიები შემოვიდნენ. მათი მოსვლა ყველას გაეხარდა. კარგი ცხენები ჰყავთ ილიკოს და შალვას. „დომბრანმა“ და „არაბიამ“ ზუგდიდში საოქტომბროდ მოწყობილ მარუსაში თავი ისახელეს. ახლა რაიონის ახალგაზრდები ამ ცხენებზე ლაპარაკობენ. ილიკო დარასელია მარტო ცხენოსნობაში როდია მარჯვე. მან გასულ წელს 686 შრომადღე გამომუშავა და პატრიოსანი შრომის ბარაქით მთელი ოჯახი გაალარა.

ახალსოფლელ კოლმეურნეებში ყოველი ხუთი მოსახლიდან ოთხი ახალ სახლში ცხოვრობს. საშეროზაო უბანში წინათ ქოხებიდან ამოსული კვამლი მიდამოს ჭვარტლავდა. ამ ნაწილს ღარიბების უბანს ეძახდნენ. მაგრამ კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ მალე გამოიცვალა ყველაფერი. საშეროზაოში ახლა ორსართულიანი სახლი არც ისე იშვიათია. ხარიტონ შეროზიამ ქვიტკირის ორსართულიანი სახლის მშენებლობა ამ დღეებში დაამთავრა. 8 იანვარს ქორწილი გადაიხადა და პატარძლის სახით ახალსოფლის კოლმეურნეობას ერთი მომუშავე შეჰმატა.

ახალსოფლის აღორძინების ისტორია კოლმეურნეობის დაარსების დღიდან იწყება. ორსანტიის შემდეგ ზუგდიდის რაიონში „კოლხიდა“ თითით სჩვენებელი კოლმეურნეობაა. იგი მილიონერ კოლმეურნეობათა რიგებში ჩადგა და შრომადღეზე 10 მანეთი ფულად და 4 კილო სიმინდი გასცა. ეს მაშინ, როცა მისმა წევრებმა 1933 წელს ერთ შრომადღეზე 2 კილო სიმინდი და 1 მანეთი და 66 კაპიკი მიიღეს. რა შეადარებაა! წარსული ახლა ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწისაგან.

კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს კიდევ უფრო მეტი მოსავალი რომ მიიღოს, კიდევ უფრო მეტი პროდუქტი რომ დააგროვოს, აქედანვე ემზადებიან სავაზაფხულო თესვისათვის. სიმინდისა და სოიას თესლი შერჩეულია, მანქანა-იარაღების შეკეთებას ამ დღეებში დაამთავრებენ. მუშა-საქონელს თვალისჩინივით უვლიან. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, ხოლო „კოლხიდას“ მეზობელი კოლმეურნეობა ჰყავს შეჯიბრებაში გამოწვეული.

„კოლხიდა“ ძირითადად ციტრუსოვან და ტექნიკურ კულტურათა კოლმეურნეობაა. მრავალ ათეულ ჰექტარზე გადაჭიმულია მანდარინის, ლიმონის, ტუნგოს, გრეიპფრუტის და დაფნის ბაღები. სათბურებში მრავალი ათასი ნერგი ხარობს და მოელის ტრიალი მინდვრის სუფთა ჰაერს. ამ კოლმეურნეობას წელს ციტრუსების შესანიშნავი ნერგები აქვს. საკოლმეურნეო წესდების გათარებით ახალსოფლელი კოლმეურნეები შეძლებულები გახდნენ, ცხოვრობენ მხიარულად, ბედნიერად და ასჯერ და ათასჯერ მადლობას უთვლიან ამ ბედნიერი ცხოვრების შემქმნელს, მსოფლიო პროლეტარიატის იმედს ამხანაგ სტალინს.

იანვრის მზემ კიდევ უფრო ააელვარა ახალი სოფლის ახალი სახლები. ურთას მთის კალთებზე ისევ გაზაფხულია. მწვანე დაფნა საამურად შრიალებს და ირგვლივ სურნელებას აფრქვევს.

საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში

16 იანვარს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში იწყება პროცესი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა, რომელიც აღმოჩენილი და ლიკვიდირებულია საქართველოს სსრ შინსახკომის ორგანოების მიერ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში და რომელიც თავის მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობას, საქართველოს მოწყვეტას საბჭოთა კავშირისაგან და კაპიტალისტური წყობილების აღდგენას.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში არიან მიცემულნი: ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი შ. ნ. დადიანი, ინსტიტუტის განყოფილების ყოფილი გამგე ა. ა. სანაძე, ინსტიტუტის დირექტორის ყოფ. მოადგილე ი. დ. გარსიაშვილი, ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერი თანამშრომელი შ. ვ. ყიფიანი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ნ. ა. ჯაფარიძე, ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერი თანამშრომელი დ. ს. მჭედლიშვილი, ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერი თანამშრომელი მ. ს. ტიმოფეევი.

ბრალდებულთ წაეყენებული აქვთ ბრალდებან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58—7 და 58—11 მუხლებით.

საქმე გაირჩევა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო კოლეგიის ღია სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. მ. მ. ისაკაძე და წევრები: საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და სპეციალური სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ამხ. ე. ლ. თათუზოვი და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრი ამხ. პ. პ. მეუნარგია.

ბრალდებას მხარს უჭერს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. გ. სულუკია.

ბრალდებულებს იცავენ დაცველთა კოლეგიის წევრები ამხ. თუთბერიძე, ჭიჭინაძე და ღლონტი.

(საქდესი)

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ფრონტზე

შანხაი, 13 იანვარი (საკდესი). იუწყებიან, რომ ხანჯოუ-ნანჯინის რაიონიდან შანდუნის პროვინციაში გადაყვანილ იქნა იაპონიის ჯარი 20 ათასი კაცის შემადგენლობით.

ლონდონი, 12 იანვარი (საკდესი). ჩინეთის საელჩომ გამოაცხადა, რომ ჩინეთის თვითმფრინავებმა 11 იანვარის მდინარე იანძიზე, ქალაქ უხუს ზემოთ ჩასძირეს იაპონიის ორი საკანონერო ნავი.

ხანკოუ, 13 იანვარი (საკდესი). ჩინეთის თვითმფრინავებმა სუანჩენის სადგურის მახლობლად ყუმბარებით დაანგრიეს იაპონიის ამუნიციანი მატარებელი. გუშინ იაპონიის 42 თვითმფრინავმა უკვე მე-17-ჯერ დაუშინა ყუმბარები ქალაქ ნანჩანს (ძიანსის პროვინცია). ჩინეთის თვითმფრინავებმა ბრძოლა გაუმართეს მათ. იაპონიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს 100-ზე მეტი ყუმბარა, მათგან 50-ზე მეტი ჩამოვარდა ქალაქში. დანგრეულია 100-მდე სახლი, მოკლული და დაჭრილია 20-ზე მეტი კაცი.

სამხრეთ ჩინეთი

ლონდონი, 12 იანვარი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ იაპონელებმა მარგალიტის მდინარის დელტაში (კანტონის მახლობლად) კვლავ დაიკავეს კუნძული, რომელიც მათ გასულ კვირას დასტოვეს.

ლონდონი, 12 იანვარი (საკდესი). დღეს იაპონელთა მრავალი თვითმფრინავი დაესხა თავს კანტონს, ბოკატიგორისის ფორტებსა და ხუთ ქალაქს კანტონის მიდამოებში. კანტონს უმნიშვნელო ზიანი მიაყენეს. ფორტებში იფეთქა ხანძარმა, რაც ამნთები ყუმბარის გასკდომამ გამოიწვია. ქალაქ ბატანის მახლობლად საზენიტო არტილერიამ ძირს ჩამოაგდო იაპონელთა ერთი თვითმფრინავი.

ხანკოუ, 13 იანვარი (საკდესი). იაპონელთა 7 თვითმფრინავი პირველად უშენდა ყუმბარებს სიუჯენსა და ხაიხოუს ხაინანის კუნძულზე ჩამოაგდეს 20-ზე მეტი ყუმბარა, რამდენიმე ათეული სახლი დანგრეულია. მოკლულია დაახლოებით 20 კაცი.

სამხრეთ ჩინეთი

ლონდონი, 12 იანვარი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ იაპონელთა ჯარის ნაწილები, რომლებიც შანხაის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ხინ-უსა და პინლუს რაიონში მოქმედებენ, განიცდიან იაპონელთა სამი რაზმის იერიშებს.

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 12 იანვარი (საკდესი). ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, ისარგებლეს რა სამხედრო ტექნიკის უპირატესობით, 11 იანვარს სალამითი იაპონელებმა აიღეს ქალაქი ჯინინი (შანდუნის პროვინციის სამხრეთ – დასავლეთ ნაწილში).

ჩინელთა ჯარებმა უკან დაიხიეს სოფელ ანციუში ჯინინიდან 9 კილომეტრის მანძილზე სამხრეთისაკენ. ბრძოლა ჯინინის გარშემო ყველაზე უფრო ძლიერი იყო შანდუნის პროვინციაში ომის მთელი ხნის განმავლობაში. ჩინელთა ჯარები იცავდნენ ქალაქს 5 დღე-ღამის განმავლობაში. ჯინინი ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

შეტევაში მონაწილეობდა 5 ათასზე მეტი იაპონელთა ჯარისკაცი და მანჯოუ-გოს რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. იაპონელებს დიდი დანაკარგი აქვთ.

ხანკოუ, 13 იანვარი (საკდესი). ხებეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის რეგულარული ჯარის რაზმებმა და პარტიზანელებმა, რომლებიც იაპონელთა ზურგში მოქმედებდნენ, უკან დაიბრუნეს ბრძოლით ქალაქები ციუჯოუ, იუნიანი, ფეისიანი და გუანპინი.

იაპონელთა სარდლობის ჭრაბახა განცხადება

ხანკოუ, 13 იანვარი (საკდესი). იაპონელთა სარდლობა ტრაბახით აცხადებს, რომ იაპონელთა არმიის მიერ ოკუპირებულია შანსის პროვინციის ნახევარზე მეტი. ნამდვილად კი იაპონელთა კონტროლი ვრცელდება მხოლოდ იმ ქალაქებზე, სადაც იაპონელთა გარნიზონები სდგანან, და ვიწრო ზოლზე რკინიგზის ხაზის გაყოლებით. პროვინციის 105 მაზრიდან იაპონელთა მიერ ოკუპირებულია მხოლოდ 12. პროვინციაში მოქმედებს მე-8 ნაციონალური – რევოლუციური არმიის დაახლოებით 60 ათასი მეომარი და 30 ათასზე მეტი შეიარაღებული პარტიზანელი. იაპონელთა ზურგში მომქმედ ამ უდიდესი ძალების გასანადგურებლად იაპონელთა სარდლობას ყოველი მხრიდან მოჰყავს ჯარები, მაგრამ მათ წინწაწევას აჩერებს გაბუზღუნებული თავდასხმა პარტიზანელების მხრით.

პარტიზანელთა რაზმები და მე-8 არმიის ნაწილები, რომლებიც შანსის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნინ-უსა და პინლუს რაიონში მოქმედებენ, განიცდიან იაპონელთა სამი რაზმის იერიშებს.

იაპონელთა ყველა ოპერაციაში უკვე დაკავებულია არა ნაკლებ 30 ათასი ჯარისკაცისა. ამავე მიზნით ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის ზონაში გადასროლილია ამჟამად კიდევ 10 ათასი ჯარისკაცი. როგორც წესი, იაპონელთა ჯარები მხოლოდ დღით მოქმედებენ, ხოლო ღამით თავს აფარებენ მტკიცედ დაცულ პუნქტებს.

მიუხედავად იაპონელთა ურდოების შემოტევისა ყოველი მხრიდან, პარტიზანელები არა მარტო მამაცად იცავენ თავის რაიონებს, არამედ გადამწყვეტ ბრძოლასაც უმართავენ იაპონელებს, არღვევენ მათ ზურგსა და მოწინავე ნაწილების კავშირს ბაზებთან.

თავის განმავლობაში ქალაქები ლაიიუანი და ვაისიანი ორჯერ ხელიდან ხელში გადადიოდა. უკანასკნელად, როდესაც პარტიზანელები ლაიიუანიდან მთებში გავიდნენ, ქალაქის ჩინური მოსახლეობაც უკან გაჰყვა. ქალაქიდან გაზიდეს ყველა პროდუქტი. როდესაც პარტიზანელები მთებში მიდიან. იაპონელთა ჯარები ვერ ჰბედავენ მათ დადევნებას. პარტიზანელთა თავდასხმა იაპონელთა ბაზებზე, გარნიზონებსა და ტრანსპორტზე ყოველდღე ხდება. მოკლული იაპონელი ოფიცრის დღიურში ჩაწერილი იყო მეტყველი სიტყვები: „ამ მე-8 არმიამ მე თავი ამატკივა“.

ჩინელთა ნაწილების წარმატებებს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ის დახმარება, რასაც მათ მოსახლეობა უწევს. ოკუპაციის იაპონური რეჟიმი შანსის ჩრდილოეთ ნაწილში არაა მტკიცე. იაპონელთა სარდლობის მზადება შანსის სამხრეთზე შეტევისათვის განწირულია, მას მარცხი მოელის.

იაპონელთა შემდგომი შეტევა შანსის პროვინციაში შებოჭილია მე-8 ნაციონალურ-რევოლუციური არმიისა და პარტიზანების მიერ იაპონელთა ზურგში. შანსიში ყველა პირობა მოიპოვება იმისათვის, რომ ჩინელთა არმიამ გადამწყვეტი კონტრშეტევით არა მარტო უკუაგდოს იაპონელთა შემოტევა, რომლისთვისაც ისინი ემზადებიან, არამედ განდევნოს კიდეც იაპონელი ყაჩაღები.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ტერუელის ფრონტზე 12 იანვარს ფაშისტების თვითმფრინავებმა რესპუბლიკის ჯარების ზურგში ყუმბარები დაუშინეს მთელ რიგ სოფლებს. რესპუბლიკის ავიაციამ წინააღმდეგობა გაუწია ფაშისტების ავიაციას.

სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ꝏ

11 იანვარს მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სანაპიროს ვალენსიასა და კასტელიონის შუა რაიონში.

ცოტათი უფრო გვიან ფაშისტების ამ თვითმფრინავებმა სცადეს რეიდის მოხდენა საგუნტოზე (კასტელიონის სამხრეთ - დასავლეთით). რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარეების ინტენსიურმა ცეცხლმა ფაშისტების თვითმფრინავები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ. ფაშისტების სამმა თვითმფრინავმა კასტელიონის გარეუბანში უშედეგოდ ჩამოაგდო 8 ფეთქებადი, 4 ცეცხლგამჩენი ყუმბარა. რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა უკუაგდეს მეამბოხეთა თვითმფრინავები.

დამხმარე ძალები მეამბოხეთა არმიას

პარიზი, 13 იანვარი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, 350 მაროკოელი გადმოსხეს ალხესირასში და დაუყოვნებლივ ტერუელის ფრონტზე გაგზავნეს.

10 იანვარს ალხესირასიდან და ლა ლინეადან 300 კაცი ძალით გაგზავნეს ტერუელის ფრონტზე. რადგან ეს ხალხი მეამბოხე ხელისუფალთა თვალსაზრისით არ იყო „სანდო“, ისინი უიარაღოდ გაგზავნეს. იარაღს მათ მისცემენ მხოლოდ ფრონტზე მისვლის შემდეგ.

რა აბრკოლებს სკოლების მუშაობას

დამთავრდა სასწავლო წლის პირველი ნახევარი. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც 5-დან 10 იანვრამდე თბილისში ტარდებოდა, საქ. განსახკომმა შეაჯამა გასული ნახევარი წლის შედეგები და დასახა მომავალი ამოცანები.

სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ საქ. განათლების სახ. კომისრის ამხ. ერ. ბურჭულაძის მოხსენებიდან და მის გარშემო გამართული კამათიდან გამოირკვა, რომ განსახკომი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ხელმძღვანელობს სკოლებს, ცოცხალი ოპერატიული კავშირი არა აქვს განათლების განყოფილებებთან, სკოლებთან, მასწავლებლებთან. არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი ბრძოლა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. რაც მთავარია, განსახკომში კვლავ უგულებელყოფილია მასწავლებელი, სკოლის ცენტრალური ფიგურა, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა.

ამის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ არც მომხსენებელს, არც მოკამათეებს ჭრინტიც არ დაუძრავთ საბჭოთა საუკეთესო მასწავლებლების მუშაობაზე, მოწინავე მასწავლებლებზე, რომელთაც თავისი ბრწყინვალე პრაქტიკით დაამტკიცეს უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, აამაღლეს სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, მიაღწიეს ასპროცენტიან წარმატებულობას, აიმაღლეს პოლიტიკურ - პედაგოგიური კვალიფიკაცია, იძლევიან მუშაობის საუკეთესო მაგალითებს.

სკოლას, მასწავლებელს ჯერ კიდევ სათანადოდ არ უგრძვნიათ განსახკომისა და განათლების განყოფილებათა რეალური დახმარება. სუსტად არის დაყენებული მეთოდური ხელმძღვანელობა. განსახკომისა და განათლების განყოფილებათა ინსპექტორები იშვიათად თუ ეწვევიან სკოლებს და ისიც მაშინ, როცა მოხსენებებისათვის ცნობების შეგროვება დასჭირდებათ.

სასწავლო ნახევარწლის განმავლობაში განსახკომმა მხოლოდ ერთხელ, ისიც ნაჩქარევად, გამოიკვლია ხუთიოდე რაიონის რამდენიმე სკოლა. ამ გამოკვლევას არც სკოლებისათვის გამოუღია შესაფერისი ნაყოფი და არც განსახკომისათვის მიუცია რამდენადმე მნიშვნელოვანი მასალა სკოლების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

განსახკომი ნაკლებ ყურადღებას უთმობს განათლების განყოფილებათა აპარატების განმტკიცებას. განათლების განყოფილებათა შტატში გათვალისწინებული 2-3 სასკოლო ინსპექტორი უმრავლეს შემთხვევაში რაიონის სკოლებში შეთავსებით მუშაობენ და ძალიან ცოტა დრო რჩებათ სკოლებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამასთან მათი ხელფასი, განსახკომის ყოფილი მავნებლური ხელმძღვანელობის „მოღვაწეობის“ შედეგად, იმდენად მცირეა, რომ საკმაო პედსტაჟისა და კვალიფიკაციის მქონე მუშაკები ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობას გაურბიან.

ამგვარად გამოდის, რომ ხშირად განათლების განყოფილებაში მუშაობს მხოლოდ გამგე, რომელმაც თავის თანამდებობასთან ერთად უნდა შეასრულოს საქმისმწარმოებლის, სტატისტიკოსისა და სხვადასხვა დარგების ინსპექტორების თანამდებობით გათვალისწინებული მოვალეობანი.

ცხადია, თუ განსახკომმა განათლების განყოფილებები მომავალშიც ასეთ მდგომარეობაში დასტოვა, სკოლას, მასწავლებელს კვლავაც ვერ გაუწევათ საჭირო ხელმძღვანელობა.

განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკურმა თათბირმა რატომღაც სათანადო ყურადღება არ დაუთმო სამოქალაქო და სსრკ-ის ისტორიის სწავლების დაყენებას. მაშინ როდესაც ამ მეტად მნიშვნელოვანი საგნების სწავლება აქართველოს ბევრ სკოლაში პირდაპირ ჩაშლილია. არც მომხსენებელს და არც მოკამათეებს საფუძვლიანი ანალიზი არ გაუკეთებიათ საქართველოს სკოლებში ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის — სტალინური კონსტიტუციის სწავლების მდგომარეობისათვის. მცირე ყურადღება მიექცა რუსული ენისა და გეოგრაფიის სწავლების დაყენების გაუმჯობესებას.

არასაკმაოდ იყო განხილული მოწაფეთა ერთდაიმავე კლასში მეორე წელს დარჩენასთან ბრძოლის ღონისძიებანი. მეორეწლიანობა, სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მოუქნელი და უთავბოლო მუშაობის მეოხებით, კვლავ რჩება საბჭოთა სკოლის სამარცხვინო ლაქად.

როგორც თათბირიდან გამოირკვა, მთელი რიგი განათლების განყოფილებანი (აფხაზეთის, ფოთის, ჭიათურის, გორის, ქუთაისის, მახარაძის, გეგეჭკორის, ყვარლის და სხვ.) და თვით განსახკომი ნაკლებად ზრუნავენ კადრების პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით შერჩევისათვის, მათი შენარჩუნებისათვის. მასწავლებლებს ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ ხსნიან და განსახკომიც წარბშეუხრელად „აფორმებს“, ადასტურებს განათლების განყოფილებათა ასეთ მოქმედებას.

სახალხო განათლების ორგანოებს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მართებთ მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და სკოლებში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისათვის. სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ჭიათურის რაიონის მრავალ სკოლაში პირდაპირ უდისციპლინობაა გამეფებული. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც სხვა რაიონებშია. აფხაზეთის ბევრ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაშლის ნაცვლად გახშირდა მოწაფეთა სკოლიდან გარიცხვის შემთხვევები.

თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაუსწრებელ სწავლებაში და კვალიფიკაციის ამაღლების ჭსელში ჩაბმული მასწავლებლები კვლავ ზომაზე მეტად არიან დატვირთულნი საზოგადოებრივი მუშაობით, რაც მასწავლებელს შეაძლებლობას არ აძლევს იმუშაოს თავის თავზე, აიმაღლოს საკუთარი კვალიფიკაცია.

სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით ვაჭრობა სახელგაძისა და ცეკავშირის მოუქნელი მუშაობის მეოხებით კვლავ მოუგვარებელია. მთელი რიგი სკოლები (თელავის, ყარაიის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის და სხვ.) საკმაო რაოდენობით ვერ ღებულობენ რვეულებსა და სახელმძღვანელოებს. ცეკავშირის ადგილობრივი ჭსელის მუშაკები გაურბიან სასწავლო-საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობას. ცეკავშირის წარმომადგენლის განცხადებით, ეს იმიტომ ხდება, რომ კოოპერაციის მუშაკებმა, თურმე, ვერ ისწავლეს კულტურული საგნებით ვაჭრობა.

კვლავ მოუგვარებელია მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების ანაზღაურება. ზოგ რაიონში ფინგანი და სასოფლო საბჭოები მასწავლებლებს უარს უუბნებიან კომუნალური მომსახურების ანაზღაურებაზე. დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირმა დღემდის ვერ შესძლო ამ საქმის მოწესრიგება.

ცუდი მდგომარეობაა მასწავლებელთა ატესტაციის დარგში. როგორც განსახკომის მოადგილის ამხ. დ. ყიფშიძის მოხსენებიდან გამოირკვა, ატესტაციის ჩატარებაში ხალხის მტრებმა მრავალი დამბინძურება შეიტანეს. არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს მეორე რიგის ატესტაციისათვის მზადება.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგშიც.

თათბირმა სახალხო განათლების ორგანოებს მრავალ არსებითს ნაკლოვანებაზე მიუთითა. მათი ვალია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და, როგორც „პრავდა“ მოგვითითებდა, „თავდადებული მუშაობა სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის, თავდადებული მუშაობა სახალხო განათლების მადლიან აპარეზზე“.

შ. ჯიძია

საქართველოს მანქანათმშენებლობის ქარხნები 1938 წელს

საქართველოს მანქანათმშენებლობის ქარხნები 1938 წელს გაცილებით უკეთეს პირობებში იქნებიან ჩაყენებული, ვიდრე წინა წლებში იყვნენ. მიცემული გეგმების შესასრულებლად ყველა ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება საფონდე ნედლეულით და ყველა საჭირო მოწყობილობით. პირობების ასეთ გაუმჯობესებასთან ერთად ქარხნებს წელს უფრო დიდი გეგმა აქვთ მიცემული, ვიდრე 1937 წელს ჰქონდათ.

1937 წელს მანქანათმშენებლობის ქარხნებს უნდა გამოეშვათ 27.168 ათასი მანეთის პროდუქცია (უნიფიცირებულ ფასებში), ნამდვილად კი მათ მოგვცეს 27.926.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1938 წელს უნდა მოგვცენ 31.050.000 მანეთის პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების ზრდა 1938 წელს გათვალისწინებულია 9 პროცენტით, ხოლო ხელფასისა — 5 პროცენტზე მეტით.

რით იქნება აღსანიშნავი 1938 წელი წადა საქართველოს მანქანათმშენებლობის მრეწველობისათვის?

ამ კითხვაზე მანქანათმშენებლობის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ წელს ყველა ჩვენი ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი ნედლეულით, რაც საჭიროა დასახული გეგმების შესასრულებლად. წელს ჩვენი ქარხნები ადიდებენ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას. დიდდება, მაგალითად, საბავშვო საწოლების, ველოსიპედების, თუთიის აბაზანების, ლურსმნების და სხვა ასეთი პროდუქციის გამოშვება. გასულ წელს ქალინინის სახელობის ქარხანამ გამოუშვა 346 საბავშვო საწოლი, წელს გამოუშვებს 1200 ცალს, სულ კი ეს ქარხანა გამოუშვებს 13.500 ცალ ლითონის მონიკელებულ საწოლს. დიდდება აგრეთვე სასწორების გამოშვება (1937 წელს გამოშვებული 600 სასწორის ნაცვლად ქარხანა წელს გამოუშვებს 2.000 ცალ სასწორს). ლურსმანზე დიდი მოთხოვნილებაა. მიუხედავად ამისა შარშან ქალინინის ქარხნის საოსტრსმნე საამქრომ 1558 ტონა ლურსმანი გამოუშვა. წელს კი მანვე უნდა მოგვცეს 2.300 ტონა სხვადასხვა ზომის ლურსმანი.

ლითონის კონსტრუქციების ქარხანა, ცისტერნების გარდა, წელს იწყებს ლითონის კასრების გამოშვებას, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა პროვინციაში. ქარხანა სულ გამოუშვებს 15 ათას ცალ ლითონის კასრს.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა წელს იწყებს მუშაობას 4 ახალი ხარისწყობების რთული საფეიქრო მანქანის ასათვისებლად. ამ ქარხნის სარეკონსტრუქციოდ წელს 1.200.000 მანეთია გადადებული. ქარხანაში დაიდგმება უმთავრესად უნივერსალური ხასიათის მოწყობილობები, რომ შესაძლებელი იქნეს არა მარტო საფეიქრო მანქანების, არამედ სხვა დანიშნულების მანქანათა გამოშვებაც.

ასეთივე თანხა (1.200.000 მან.) დაიხარჯება ორჯონიკიძის სახ. ქარხნის სარეკონსტრუქციოდ. რეკონსტრუქცია ისე იწარმოებს, რომ მუშაობა ერთი წუთითაც არ დაბრკოლდეს. ქარხნის ეზოში გადაწყვეტილია ახალი საწარმოო კორპუსის აგება და არსებული საამქროების ახალი მოწყობილობით შევსება. ორჯონიკიძის ქარხანა წელს იმუშავებს უმთავრესად მეველინეობაში საჭირო მანქანა-იარაღების გამოშვებაზე. ამ მანქანა-იარაღებზე დიდი მოთხოვნილებაა და იგი პირითადად ამ ქარხნის პროდუქციით უნდა დაკმაყოფილდეს.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა წელს აითვისებს დიდი და რთული ახალი კონსტრუქციის მანქანის „ტრიპლექსის“ გამოშვებას.

„აჭარის მთებში“ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში. **სურათზე:** სცენა პირველი აქტიდან. — მემედ კაიკაციშვილი (მსახიობი ალ. კაჭკაჭიშვილი) და მისი ცოლი ჯემალი (მსახ. თ. თვალიაშვილი).

ფოტო ბუდუშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

„აჭარის მთებში“

საბჭოთა დაზვერვა ძლიერია იმით, რომ იგი ბალს ეყრდნობა, მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობს. ჯაშუშ-დივერსანტების, ფაშისტების საზიზღარი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადების გამომჟღავნებაში შინსახკომის სახელოვან ორგანოს დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი. ამ საქმეში უკანასკნელ როლს არ თამაშობენ მესაზღვრე სოფლების პიონერები, რომელთა აიფიზელის შედეგად არაერთი დივერსანტი იქნა შეპყრობილი.

ერთი ასეთი მომენტი უდევს საფუძვლად გრ. ბერძენიშვილის პიესას „აჭარის მთებში“, რომელიც დაიდგა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სცენაზე. რეჟისორმა ბ. გამრეკელმა შექმნა სპექტაკლი, რომელაც თავისი პოლიტიკური სიმახვილითა და მხატვრული მრავალფეროვნებით ბავშვების აღტაცებას იწვევს.

სპექტაკლის წარმატებას ხელ უწყობს მხატვარ დ. თავაძის ფერადოვანი დეკორაციები.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა „აჭარის მთებშიც“ იჩინა თავი. გ. კუპრაშვილს (ჰასახი), თ. თვალიაშვილს (ჯემალი), ალ. კაჭკაჭიშვილს (ემედი), გ. აბაშიძეს (მესაზღვრე რაზმის პოლიტრჯა) ცოცხლად მიჰყავთ თავიანთი როლები.

ეპიზოდური როლების შემსრულებლებიდან ყურადღებას იპყრობენ კ. ხუნდაძე, ზ. გვარამე, მ. ცინცაძე, ს. გამრეკელი, ა. ყიასაშვილი, ნ. მიქაშავიძე, გ. დეისაძე, ძ. აღნიაშვილი, შ. ჩხიკვაძე.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა საინტერესო სპექტაკლით გაამდიდრა თავისი ოქერტუარი.

ჯ. შ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

15 იანვარს.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „კაპიტალისტური გარემოცვა და ეკლესია“. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. სახაროვი, რუსულ ენაზე — ამხ. მალაქია. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს უფლებანი და მოვალეობანი“. კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ꝏ

15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ობილისია ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში. რაიონის აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „საბჭოთა დაზვერვის როლი ხალხის მტრებთან ბრძოლაში“.

ꝏ

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1530192, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მიერ 1936 წლის 7 ივლისს გორგი ივანეს-ძე ოქროშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ꝏ

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523594, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მიერ 1937 წლის 28 ივნისს დავით პეტრეს-ძე ჩატიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ꝏ

15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტების სემინარის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

ꝏ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა, რომელიც დანიშნული იყო 15 იანვარს, შესდგება 17 იანვარს, საღამოს 7 საათზე.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის
დრ. აღმსრულებელი
კ. ჩარკვიანი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

15/I — მუდმ. ადგ. ტალ. № 76 — ერთდრ. ბილ. სერია № 1 — **ზრუბაღური**

16/I — მუდმ. ადგ. ტალონი № 77 — **რიგოლეტო**

17/I — მუდმ. ადგ. ტალ. № 78 — **კარმენ**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. ემზონი

15/I — წარმოდგენა 74 — **ნაპერწკლიდან**

16/I — წარმოდგენა 75 — **ალკაზარ**

17/I — წარმოდგენა 76 — **გმირთა თაობა**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

10 იანვრიდან დარიგდება მუდმივი ადგილების ბილეთები, ვისაც მე-3-ე გადასახადი არ ჭქნება გადახდილი, ბილეთები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუჭჰალტერიაში დილის 11 საათიდან 4 საათამდე.

ა. დ. ჭელიძი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7–8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.

მისამართი: წყნეთის ჭ. № 8 — 17278

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

15/I წარმ. № 78 — **ნაპერწკლიდან**

16/I წარმ. № 79 — **ნაპერწკლიდან**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

სახსირკი. ტელ. 3-11-44

15 იანვარს

ახალი პროგრამა

ლილიპუტების ჯაზის მე-2 ციკლისა,

აგრეთვე ცირკის მთელი დასი.

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

სალარო ღიაა 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.

18 იანვარს წარმოდგენა დღისით. მონაწილეობს **ლილიპუტების ჯაზი** მე-2 ციკლის ახალი პროგრამით. დასაწყ. 2 ს.

ესზრაღის სახელმწიფო თეატრი

პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29

15, 16 იანვარს — ტალონები № 15, 16.

მოსკოვის ესზრაღის საღამოები

გიორგი აფონინი (ფელეტონები) — **2 ლეპრენგიევი** (აკრობატები)

ნადეჟდა ნურმ (მოთხრობები) — **ა. მოზგოვაია და ე. ტარასოვსკი** (ბალეტი) — **ვ. ბერკოვიჩი და ს. იაგოდინსკი** (პაროდიული ცეკვა)

ემილია ნიკანორის-ასული **დეკრიერუსკაია** (რუს. სიმღერები) — **ვ. გელმანი** (ექსცენტრიკოსები) — **ჭაკი ს. ბაბოვის** ხელმძღვანელობით

ე.ა.ლ. დრესსი და ა. მ. მირონი (ესპ. ფეიერვერკული ცეკვები)

ბილეთები იყიდება — დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ. — 17:79

დღეს სახელმწიფო თეატრებში

ოქტომბერი — პლეხანოვის გამზ. № 135 — 1) ხმ. დოკუმენტალური ფილმი: ამხანაგ **სტალინის სიტყვა** ჭ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წ. 11 დეკემბერს სსრკ დიდ თეატრში. 2) ხმოვ. ფილმი **ლენინი ოქტომბერში.** დასაწყისი 6 საათზე.

კომკავშირელი — პლეხანოვის გამზ. № 91 — ხმოვანი მხატვრული ფილმი **ლენინი ოქტომბერში** — სცენარი – ა. კაპლერისა, რეჟისორი – მ. რომმი. დასაწყისი 6 ს. 40 წ.

რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 — ახალი ხმ. ფილმი **სამშობლოს ძალისშვილი** დასაწყ. 6-30

ბარათაშვილის რუსთაველის გამზ. № 23 — ხმოვანი ფილმი **ანენკოვჩინა** დასაწყ. 6-30

დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 — ხმოვანი ფილმი **სამშობლოს ახალი** დასაწყ. 6-30

26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი — ხმ ფილმი **ახალგაზრდობის დღესასწაული** დასაწყისი 6-30

არსენა კომუნალური ჭ. № 9

ახალი ამბები

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მეწარმეთა წერილებისა — 3—22—24. პ.-მგ. მორიგების — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ჭ. № 68.

შეკვეთა № 216